დანართი IV: საჯარო კონსულტაციების შემაჯამებელი ანგარიში

2023 წლის 16 ივნისს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ვებგვერდსა (იხ. ფოტო 1) და Facebook გვერდზე (იხ. ფოტო 2) გამოქვეყნდა ცენტრალური ზონისთვის ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მართვის 2023-2025 წლების გეგმის პროექტი (შემდეგში - პროექტი). პროექტი ასევე გაეგზავნა სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის სიახლეთა 5 000-მდე გამომწერს (იხ. ფოტო 3).



ფოტო 1 - განცხადება სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ვებ-გვერდზე



ფოტო 2 - განცხადება სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის Facebook გვერდზე



ფოტო 3 - სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის გამომწერებთან გაგზავნილი წერილი

ნებისმიერ დაინტერესებულ პირს 2023 წლის 26 ივნისის ჩათვლით შეეძლო პროექტთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენა ელექტრონული ფოსტის შემდეგ მისამართზე: lasha.akhalaia@mepa.gov.ge. პროექტის საჯარო განხილვა გაიმართა 2023 წლის 26 ივნისს 11:00 საათზე ჰიბრიდულ ფორმატში: ფიზიკურად ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის შენობაში (კოსტავას გამზირი N20), ხოლო ონლაინ ფორმატში ZOOM პლატფორმის საშუალებით. ინფორმაცია საჯარო განხილვის დროსთან, ადგილთან და ფორმატთან დაკავშირებით, ონლაინ შეხვედრის ლინკთან ერთად ხელმისაწვდომი იყო ყველა ზემოთხსენებულ განცხადებაში. ონლაინ მონაწილეთათვის უზრუნველყოფილი იყო ქართულ-ინგლისური თარგმანი. პროექტის საჯარო განხილვას დაესწრო 49 მონაწილე, მათ შორის 23 ფიზიკურად, ხოლო 26 ონლაინ რეჟიმში. მონაწილეთა შორის 25 იყო მამრობითი სქესის, ხოლო 24 - მდედრობითი სქესისა. შეხვედრა 2 საათის განმავლობაში მიმდინარეობდა და განხილულ იქნა პროექტის მიზნები, ამოცანები და აქტივობები. აღნიშნული საჯარო კონსულტაციების შედეგად ელექტრონული ფოსტით 2 წერილი იქნა წარმოდგენილი, რომლებსაც ინდივიდუალურად გაეცა პასუხი. დამატებითი შენიშვნები ასევე გაჟღერდა პროექტის საჯარო განხილვის ღონისძიებაზე.

სულ წარმოდგენილ იქნა 9 შეკითხვა/რეკომენდაცია/კომენტარი, რომლებიც მოცემულია საჯარო კონსულტაციების შემაჯამებელ ანგარიშში. წარმოდგენილი შენიშვნები განიხილა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსა და კლიმატის ცვლილების დეპარტამენტის ატმოსფერული ჰაერის სამმართველომ შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან ერთად. წარმოდგენილი შენიშვნების უმეტესობა ეხება ქ. რუსთავში ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების კუთხით არსებულ პრობლემებს და არ წარმოადგენს კონკრეტულ შემოთავაზებას პროექტში ცვლილების შესატანად. წარმოდგენილი შენიშვნების შესაბამისად მომზადდა ცხრილი, რომელიც მოიცავს აღნიშნული შენიშვნების შინაარსს, მათი გათვალისწინების სტატუსს და შესაბამის არგუმენტაციას.

ცხრილი 1 - საჯარო კონსულტაციების ფარგლებში წარმოდგენილი შენიშვნების გათვალისწინების დონე

შემოსული შენიშვნების საერთო რაოდენობა	9
გათვალისწინებულია	1
ნაწილობრივ გათვალისწინებულია	1
არ არის გათვალისწინებული	3
არ საჭიროებს გათვალისწინებას	4

დეტალურად, შემოსული შენიშვნების რეესტრი და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს განმარტებები იხილეთ ცხრილში 2.

ცხრილი 2 - საჯარო კონსულტაციების ფარგლებში წარმოდგენილი შენიშვნების სია უკუკავშირის მითითებით

შენიშვნა	სტატუსი	კომენტარი
პროექტის ინდიკატორების პასპორტში (III დანართი, გვ. 5) "ცენტრალურ ზონაში ავტოტრანსპორტიდან აზოტის დიოქსიდის (NO2) გაფრქვევების წლიური რაოდენობა შეწონილი ავტომობილების რაოდენობასთან" ინდიკატორის მეთოდოლოგიის ნაწილში, მეტი სიზუსტისთვის, N-ის განმარტება უმჯობესია ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: "N კი საანგარიშო წლისთვის ცენტრალურ ზონაში ჯამურად რეგისტირებული ასს-ების რაოდენობა. ცენტრალური ზონის შემადგენლობაში მყოფ მცხეთის მუნიციპალიტეტში, ასს-ების რაოდენობა გამოთვლილია მცხეთა-მთიანეთის რეგიონში რეგისტრირებული ასს-ების რაოდენობის გამრავლებით მცხეთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის რაოდენობისა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონის მოსახლეობის რაოდენობის ფარდობასთან". ასევე, ამავე ინდიკატორში, დადასტურების წყაროს ნაწილში, მითითებულ იქნას: "საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ვებგვერდი (ინფორმაცია რეგისტრირებული სატრანსპორტო საშუალებების შესახებ)" - ფორმულირებით.	გათვალისწინებულია	ტექსტი დაკორექტირდა კომენტარის შესაბამისად. დადასტურების წყაროს ფორმულირება ასევე შეიცვალა პროექტის ლოგიკური ჩარჩოს თავში და სამოქმედო გეგმის დანართის შესაბამის ინდიკატორში (I დანართი, გვ. 4)
ქ. რუსთავში ატმოსფერული ჰაერის მონიტორინგის სისტემების მუშაობასთან ერთად, აუცილებელია მოხდეს მათი დახმარებით მიღებული მონაცემების სრულფასოვანი კვლევა. კერძოდ, ჰაერის ხარისხის დამდგენი სადგურებიდან მიღებული მონაცემები უნდა გახდეს კვლევის საგანი, რომელიც შეძლებს არსებული სრული სურათის ჩვენებას და რეკომენდაციების მომზადებას, ყველა პასუხისმგებელი უწყებისთვის	არ საჭიროებს გათვალისწინებას	ქ. რუსთავში ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონიტორინგის მონაცემების შეგროვებას, დამუშავებას და ანალიზს ახორციელებს სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტო. მონაცემები მონიტორინგის სადგურებიდან, მათ შორის ქ. რუსთავში, ბათუმის ქუჩაზე მდებარე სადგურიდან უწყვეტ რეჟიმშია ხელმისაწვდომი ატმოსფერული ჰაერის პორტალზე - air.gov.ge. პორტალზე ასევე ხელმისაწვდომია ქ. რუსთავში 5 წერტილზე ჩატარებული ინდიკატორული გაზომვების შედეგები. სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტო აგრეთვე გამოსცემს ყოველთვიურ ბიულეტინებსა და ატმოსფერული ჰაერის წელიწდეულებს (იხილეთ ბმული: https://nea.gov.ge/Ge/Departments/Polution/Biulettins), რომლებშიც დამუშავებული და ზღვრულად

		დასაშვებ ნორმებთან შედარებულია ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონაცემები. აღნიშნული მონაცემების ანალიზი ასევე ჩატარდა ცენტრალური ზონისთვის ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მართვის 2023-2025 წლების გეგმის პროექტის შემუშავების საწყის ეტაპზე, რომლის შედეგად იდენტიფიცირდა პრობლემური მავნე ნივთიერებები და შესაბამისი საშუალოვადიანი ტენდენციები. გარდა ამისა პროექტი ითვალისწინებს აქტივობებს (1.3.3; 1.3.4; 1.3.6), რომელთა განხორციელების ერთ-ერთი მთავარ წინაპირობას ჰაერის ხარისხის მონიტორინგის უკვე არსებული მონაცემების სიღრმისეული ანალიზი წარმოადგენს.
ჯანდაცვის მიმართულებით დაგეგმილ კვლევასთან დაკავშირებით, რომელიც შეისწავლის რუსთავში დაბინძურებული ჰაერის გავლენას მოსახლეობის ჯანმრთელობაზე (I დანართი, გვ. 8, აქტივობა 1.3.6), კვლევითმა ჯგუფმა მაქსიმალური ყურადღება უნდა გაამახვილოს საწარმოო ზონასთან ახლოს მცხოვრებ მოსახლეობაზე (ე.წ ძველი რუსთავი). ასევე პირველ რიგში, იხელმძღვანელოს და კვლევისას გამოიყენოს ატმოსფერული ჰაერის მონიტორინგის საწარმოო ზონებთან ახლოს მომუშავე სადგურების მონაცემები	არ საჭიროებს გათვალისწინებას	ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების ჯანმრთელობაზე ზემოქმედების კვლევა, რომელიც უკვე მიმდინარეობს ევროკავშირის თვინინგის პროექტის მხარდაჭერით სრულად დაეყრდნობა ე.წ. ძველ რუსთავში ბათუმის ქუჩაზე მდებარე ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონიტორინგის ავტომატური ფონური სადგურის მონაცემებს.
საწარმოო ზონასთან არსებული გზის საფარის რეაბილიტაციასთან დაკავშირებით (I დანართი, გვ. 2, აქტივობა 1.1.4), მნიშვნელოვანია გამოიკვეთოს საწარმოების როლი და პასუხისმგებლობა. ასევე, საწარმოო ზონაში და მის მიმდებარედ არსებული ქუჩების სველი წესით დასუფთავების საკითხშიც მნიშვნელოვანია გამოიკვეთოს ადგილობრივი საწაროების როლი და პასუხისმგებლობა, რადგან ეს საწარმოები, თავად არიან მეტ-წილად აღნიშნული ტერიტორიით მოსარგებლეები და აყენებენ ზიანს ინფრასტრუქტურას, საკითხის მოგვარებაში უნდა აიღონ პასუხისმგებლობაც. ჩვენი მოსაზრებით, შესაბამისი კომუნიკაცია უნდა დაიწყოს მათთან.	არ საჭიროებს გათვალისწინებას	საწარმოო ზონასთან არსებული გზა არის ადგილობრივი მნიშვნელობის გზა, რომელიც არის ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში. შესაბამისად, აღნიშნული გზის მოვლაზე, ექსპლუატაციასა და რეაბილიტაციაზე პასუხისმგებელია ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერია. თუკი საწარმოო სუბიექტების მიერ ხდება საწარმოო მასალების გადატანა მშენებლობისა და ამტვერებადი სამშენებლო მასალების ტრანსპორტირებისთვის დადგენილი მოთხოვნების დარღვევით, კანონმდებლობა გასული წლიდან ითვალისწინებს სანქციას, რომლის თაობაზეც მუნიციპალიტეტის მერიამ გააფრთხილა ყველა შესაბამისი საწარმოო სუბიექტი. მერიის მუნიციპალური ინსპექცია ახორციელებს კონტროლს ამ

		მიმართულებით და შესაბამისი სანქციები მიემართება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში.
ტრანსპორტიდან მომავალი გამონაბოლქვის კონტროლისთვის, მიგვაჩნია მხოლოდ ერთი ეკიპაჟის გამოყენება იქნება არა ეფექტური. იმის გათვალისწინებით, რომ რუსთავის მოსახლეობა სცდება 100 ათასს ადამიანს, მნიშვნელოვანია მინიმუმ სამი ეკიპაჟი მუშაობდეს ამ მიმართულებით.	არ არის გათვალისწინებული	ავტომობილების გამონაბოლქვის გზებზე კონტროლისთვის საპატრულო ეკიპაჟის დასამატებლად საჭიროა შესაბამისი ადამიანური რესურსის, ავტოსატრანპორტო საშუალებისა და გამონაბოლქვის მზომი ხელსაწყოს უზრუნველყოფა, ასევე, თანამშრომელთა გადამზადება. აღნიშნული დაკავშირებულია მნიშვნელოვან ფინანსურ ხარჯთან (მაგალითად 1 ეკიპაჟისთვის საჭირო დაფინანსების ოდენობა პროექტის მიხედვით 113,800 ლარია), რისი შესაძლებლობაც ამ ეტაპზე არ არის. ამასთან, თუ კი ავტომობილებიდან გამონაბოლქვის გზაზე კონტროლის შედეგები გვიჩვენებს, რომ ერთი ეკიპაჟი არასაკმარისია, შესაბამისი აღმასრულებელი უწყება შეეცდება მომავალი წლის ბიუჯეტში გაითვალისწინოს ეკიპაჟების რაოდენობის ზრდა.
მნიშვნელოვანია დაგეგმილმა გზების სარეაბილიტაციო პროექტებმა ქ. რუსთავში მოიცვას სამრეწველო ზონაში არსებული გზები, რომლებიც ზოგჯერ ამტვერების არანაკლებ მნიშვნელოვანი წყაროა, ვიდრე უშუალოდ სამრეწველო ობიექტებიდან გაფრქვეული მყარი ნაწილაკები.	არ საჭიროებს გათვალისწინებას	ქ. რუსთავში დაგეგმილი გზების სარეაბილიტაციო პროექტები მოიცავს სამრეწველო ზონაში არსებული გზების ნაწილს.
ქ. რუსთავისთვის საჭიროა დაწესდეს გარემოს (ატმოსფერული ჰაერის) დატვირთვის ნორმა, რადგან მისი არარსებობის პირობებში ვერ მოხდება ახალი საწარმოების და არსებული საწარმოების წარმადობების ზრდის შეკავება და ქ. რუსთავში ჰაერის ხარისხის მიზნების მიღწევა. შეიძლება კონკრეტული საწარმოების 500 მეტრიან ბუფერულ ზონაში კუმულაციური ეფექტი ნორმის ფარგლებში იყოს, მაგრამ მთლიანობაში, ქალაქის მასშტაბით კუმულაციური ეფექტი გაიზარდოს და უარყოფითად აისახოს ჰაერის ხარისხზე.	არ არის გათვალისწინებული	ქალაქისთვის დატვირთვის ნორმების დადგენა არ არის ევროპული პრაქტიკა. აღნიშნული საკითხის რეგულირების მთავარი ინსტრუმენტია არსებული სანებართვო სისტემა და სამრეწველო ემისიების შესახებ კანონპროექტით გათვალისწინებული ინტეგრირებული ნებართვა. კერძოდ, გარემოზე ზემოქმედების შეფასებას დაქვემდებარებული საწარმოებისთვის მტკიცდება ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმები, რომლის პროექტის განხილვის პროცესში მხედველობაში მიიღება ემისიების მოცულობა კუმულაციური ეფექტის გათვალისწინებით. იმ ადგილებში სადაც ფიქსირდება ჰაერში მყარი ნაწილაკების გადაჭარბება, შეიძლება გაიზარდოს საწარმოების წარმადობა, მაგრამ არ უნდა გაიზარდოს გაფრქვევა.

		შესაბამისად, არ იქნება სწორი წარმადობის გაზრდის შემთხვევაში ახალი გაფრქვევის ნორმების დადგენა, რომლებიც მანამდე არსებულ ნორმებზე მაღალი იქნება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა გაფრქვევის ნორმების კორექტირება აუცილებელია იმის გამო, რომ დადგენილია შეუსაბამოდ მცირე ნორმები, რომელთა მიღწევა საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნოლოგიებითაც კი შეუძლებელია.
ქ. რუსთავისთვის ერთ-ერთი ძირითადი პრობლემაა მოუგვარებელი საქალაქთაშორისო ტრანსპორტი რუსთავი-თბილისის მიმართულებით, რის გამოც ქ. რუსთავის მრავალი მაცხოვრებელი იძულებულია შეიძინოს და ისარგებლოს კერძო ავტომობილით. მნიშვნელოვანია ამ კუთხით ღონისძიებების დაგეგმვა.	ნაწილობრივ გათვალისწინებულია	ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ იგეგმება 20 ახალი ავტობუსის შემოყვანა, რაზედაც გამოცხადებულია ტენდერი. აღნიშნული ავტობუსები სრულად იქნება მიმართული საქალაქთაშორისო მიმართულებაზე. აგრეთვე, რუსთავი-თბილისის მიმართულებაზე საქალაქთაშორისო საზოგადოებრივი ტრანსპორტის განვითარების კუთხით აქტივობა(ები) მიზანშეწონილობის გათვალისწინებით განისაზღვრება თბილისის აგლომერაციის ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მართვის გეგმაში ყველა დაინტერესებული პირის, მათ შორის ცენტრალური ზონის ატმოსფერული ჰაერის ხარისხის გაუმჯობესების ხელშემწყობი სამუშაო ჯგუფის წევრების ჩართულობით. შესაბამისი ჩანაწერი დაემატა სამოქმედო გეგმის მიზნებისა და ამოცანების თავში.
რთული მდგომარეობაა ნედლეულის დასაწყობების არსებული პრაქტიკის კუთხით ქ. რუსთავში. ასევე გაურკვეველია კონკრეტულად რომელ უწყებას ევალება აღნიშნული საკითხის კონტროლი. საჭიროა ნედლეულის დასაწყობების წესების გამკაცრება. ნედლეულის არასწორი დასაწყობება ზოგჯერ იწვევს უფრო მეტ ამტვერებას, ვიდრე მილიდან დაბინძურება.	არ არის გათვალისწინებული	ეროვნული კანონმდებლობა სტაციონარული წყაროებიდან მავნე ნივთიერებათა გაფრქვევებთან ერთად არეგულირებს იმ დიფუზიურ წყაროებს, რომელიც განთავსებულია სტაციონარულ წყაროსთან ერთად. დიფუზიური წყაროები ასევე მოიცავს საწარმოო ტერიტორიაზე დასაწყობებულ ნედლეულსაც, რომლის კონტროლი არის სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის პასუხისმგებლობა. ხოლო მუნიციპალიტეტი პასუხისმგებელია სამშენებლო მასალების დასაწყობების კონტროლზე არასამრეწველო ზონაში. დასაწყობებული ნედლეულის კონტროლი წარმოადგენს საერთო ინსპექტირების ნაწილს, რომლის

		გააქტიურებასთან დაკავშირებით, მათ შორის ქ. რუსთავში, პროექტი ითვალისწინებს აქტივობას: „1.1.3 ცენტრალურ ზონაში არსებული საწარმოების ინსპექტირების, მათ შორის შემოწმებების რაოდენობის გაზრდა“.